ილია ევროპელი

27 მარტს, 14:00 საათზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნება გამოფენა: "ილია ევროპელი".

ღონისძიება დაიგეგმა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის არქივში დაცული სხვადასხვა შინაარსისა დათემატიკის მასალის ფოტო ასლები. მაგალითად: ილია და ცალკეული ევროპული ქვეყნები (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია), ილიას თარგმანები ევროპული ლიტერატურიდან, მისი მინაწერები ლიტერატურული ნაწარმოებების არშიებზე, უბის წიგნაკები, აქამდე უცნობი წერილი, ისეთი ჩვეულებრივი და პირადული საბუთიც კი, როგორიც შეიძლება იყოს გერმანული ფეხსაცმლის გამოწერისა და შეძენის ინვოისი, პატარა ბარათითურთ, პირადი წერილები ბარონ დე ბაისთან და უორდროპებთან, მისი ევროპელი მეგობრების სავიზიტო ბარათების კოლექცია და სხვა. გამოფენის მიზანია, ილიას, როგორც გამორჩეული ევროპელი მოაზროვნის წარმოჩენა. ილიას ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ჩანაწერების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის; ილია ჭავჭავაძის პირადი არქივის პოპულარიზაცია, ახლებურად გაანალიზება; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, როგორც უნიკალური ხელნაწერი და საარქივო მემკვიდრეობის საცავის პოპულარიზაცია.